დანართი №2

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო რამიშვილი
წევრები:
ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის 02/07/2026 ბრძანება N MES 2 26 0000838389 საფუძველზე, 2026 წლის 10 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში (მის.: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 15 ა.) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მათ შორის, დარგობრივი ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის შემოწმება. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და მშვიდ გარემოში, რომელიც დასრულდა დღის შეჯამებითა და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გამოკვეთილი მიგნებების გაცნობით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

არ გამოვლენილა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

არ გამოვლენილა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება № 102 თარიღი 09/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, თორნიკე ერისთავის 15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელი წესების დაცვით და მისი საჭიროება დასაბუთებულია მიზანშეწონილობის დოკუმენტით.

დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-2 თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის, შემუშავების, ცვლილების, დამატებისა და გაუქმების პროცედურებს.

დებულების თანახმად, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისა და შემუშავების პროცესში კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების (მეორადი კვლევების) შედეგებსა და სხვა რელევანტურ გარემოებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებასა და მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში წარმოდგენილ არგუმენტებს.

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა წარმოადგენს კოლეჯის ძირითად პროფილთან დაკავშირებულ მიმართულებას და ემსახურება მისიით განსაზღვრულ მიზანს – ჯანდაცვის სფეროსთვის მოთხოვნადი კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის დამატება ასევე შეესაბამება კოლეჯის 2020–2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, სტრატეგიულ მიზანს – შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას. აღნიშნული ინიციატივა ასახულია 2026 წლის სამოქმედო გეგმაშიც, რაც ადასტურებს პროგრამის დამატების წინასწარ დაგეგმილ და ინსტიტუციურად მხარდაჭერილ ხასიათს.

მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია დაწესებულების გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით. კერძოდ, კოლეჯი 2012–2018 წლებში ახორციელებდა „მასაჟისტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და რეაბილიტაციისა და თერაპიის სფეროში არსებული მოთხოვნა წარმოადგენს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროგრამის აღდგენის ერთ-ერთ არგუმენტს.

დაწესებულების შიდა რეგულაციის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატივა განიხილება ადმინისტრაციულ საბჭოზე, რომელიც აფასებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, დაწესებულების ინფრასტრუქტურულ, ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობებს.

ადმინისტრაციული საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება პროგრამის შემუშავებაში მონაწილე დარგობრივი სპეციალისტების შერჩევა როგორც კოლეჯის შიდა რესურსიდან, ასევე გარე წყაროებიდან. შემდგომ დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის მომზადებას, მოდულების ადაპტირებას, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განსაზღვრას, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევას.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამის პაკეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტს, ადაპტირებულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ ინფორმაციას, პრაქტიკის ობიექტების შესახებ მონაცემებს (არსებობის შემთხვევაში), საპროგნოზო ბიუჯეტსა და პროფესიულ სტუდენტთა სავარაუდო ზღვრულ რაოდენობას, განიხილება ადმინისტრაციულ საბჭოზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამა მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო მისი განხორციელება იწყება მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით 2025 წლის დეკემბერში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები. 2026 წლის თებერვალში სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა გაფართოვდა და მას ადმინისტრაციის კიდევ ორი წარმომადგენელი დაემატა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი ოქმების მიხედვით, სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის მომზადებას, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განსაზღვრას, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. სამუშაო შეხვედრების ჩატარება და განხილული საკითხები დასტურდება სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმებით.

დოკუმენტური მტკიცებულებების გარდა, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრებს. ინტერვიუირების შედეგებით დადასტურდა მათი აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ შორის პროგრამის შინაარსის განხილვაში, რესურსების განსაზღვრასა და პროგრამის პაკეტის მომზადებაში. - ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.1. - *პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - დაკმაყოფილებულია.***

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები განსაზღვრულია პროგრამით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „პანაცეას“ დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების“ მე-8 თავით, რომელიც არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე დაწესებულებაში მოქმედი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. აპლიკანტთა შერჩევის პროცესი ეფუძნება ობიექტურობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. ტესტირების ჩატარების თარიღები, საგამოცდო პროგრამა და სხვა პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მოთხოვნებს.

დაწესებულების შიდა რეგულაციის თანახმად, ადმინისტრაციული საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯი უფლებამოსილია, კანონმდებლობით განსაზღვრული შეფასების მექანიზმის გარდა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს დამატებითი შიდა შერჩევის მექანიზმები უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აუცილებელია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.2. - *საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - დაკმაყოფილებულია.*

3„შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას“ შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-7 მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგიას.

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, A და C სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამუშაო ადგილების რაოდენობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობას, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს, პარტნიორი ორგანიზაციის რესურსსა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გამტარუნარიანობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტით. აღნიშნული რაოდენობის ფარგლებში, კოლეჯი გეგმავს პირველ სასწავლო წელს 30 პროფესიული სტუდენტის, ხოლო მეორე სასწავლო წელს დამატებით 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია A და C სასწავლო გარემოები (თ. ერისთავის ქ. №15ა), სადაც პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია 30 სამუშაო ადგილი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნეს A სასწავლო გარემო.

A სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (კომპლექტი) – 30 ერთეული;
- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) – 1 ერთეული;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი – 1 ერთეული;
- პროექტორი/დემონსტრირების ციფრული საშუალება – 1 ერთეული;
- დაფა – 1 ერთეული.

C სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსით და უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის არჩევითი მოდულის „ესთეტიკური მასაჟი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან – შპს „აურა პლიუსი“, რომლის რესურსი და გამტარუნარიანობა გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლების პროცესში.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები, ფართი, მატერიალური რესურსი და აღჭურვილობა შეესაბამება განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.1.1.3 - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - დაკმაყოფილებულია.***

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში “მასაჟის თერაპია” მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის - მასაჟის თერაპია, შემუშავების პროცესში განისაზღვრა პროგრამაში/მოდულში მოცემული ის გარემო და რესურსი, რომელიც რელევანტურია სწავლის შედეგის მისაღწევად. კერძოდ, დაწესებულებაში პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილია A და C სასწავლო გარემო (დამატებით შესაძლოა გამოყენებულ იქნას მეორე A სასწავლო გარემო) შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, ხოლო არჩევითი მოდულის „ესთეტიკური მასაჟი“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საგანმანათლებლო სტანდარტში/პროგრამის მოდულებში მოცემული ტექნიკური აღჭურვილობა სწავლის შედეგის მიღწევისათვის, ხელმისაწვდომია პრაქტიკის ობიექტზე. საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც მატერიალური ასევე, ელექტრონული სახით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - დაკმაყოფილებულია.***

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მასაჟის თერაპია“ შესაბამისად და ითვალისწინებს არჩევით მოდულს - „ ესთეტიკური მასაჟი“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.1.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - დაკმაყოფილებულია.***

6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეა“ დირექტორის 2022 წლის 07 თებერვლის N N63 ბრძანებით (ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N83 07.05.2025წ. დამტკიცებული “სტრუქტურული ერთეულების დებულება” მე-6 მუხლის შესაბამისად, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორის. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 09 ივნისის №102 ბრძანებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.1.1.6 - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაკმაყოფილებულია.***

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - დაკმაყოფილებულია.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების“ მე-2 მუხლით განსაზღვრული „საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის/შემუშავების, დამატების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, განხორციელების ფორმა, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, სავარაუდო ხანგრძლივობა როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, აგრეთვე ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების შესაძლებლობების შესახებ.

პროგრამის ძირითად დოკუმენტს თან ახლავს შესაბამისი დანართები, მათ შორის: ზოგადი, პროფესიული და არჩევითი მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2 და B1) სავალდებულო გავლას იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესი იწყება ქართული ენის შესაბამისი მოდულების განხორციელებით.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის რამდენიმე მოდულის განხორციელება შესაძლებელია დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ფორმით. აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად კოლეჯს შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების განხორციელების პირობებსა და მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი შიდა რეგულაციებისა და პროფესიული განათლების სფეროში არსებული მოთხოვნების შესაბამისად. - ***ინდიკატორი 2.1.1.8 - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის "პანაცეა" დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N228 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N215 10.09.2025წ) დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება",

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეა“ დირექტორის 2022 წლის 07 თებერვლის N N63 ბრძანებით (ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N83 07.05.2025წ. დამტკიცებული "სტრუქტურული ერთეულების დებულება";

3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის "პანაცეა" სტრატეგიული განვითარების გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის "პანაცეა" მისია;

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" სამუშაო ჯგუფის ოქმები და ბრძანებები;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მასაჟის თერაპია";

7. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

8. გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციის შპს „აურა პლიუსი“-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილია A და C სასწავლო გარემო- პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 30. დამატებით შესაძლოა გამოყენებულ იქნას A სასწავლო გარემო. A სასწავლო გარემო აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის საკლასო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ადგილი (კომპლექტი) – 30 პროფესიული სტუდენტი; პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი - 1 ცალი; პროექტორი -დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 ცალი; დაფა - 1 ცალი. C სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის - მასაჟის თერაპია საჭირო მატერიალური რესურსით - 30 პროფესიული სტუდენტისათვის. პროგრამის არჩევითი მოდულის "ესთეტიკური მასაჟი" განსახორციელებლად დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს - შპს „აურა პლიუსთან". პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა პარტნიორული თანამშრომლობის ხელშეკრულებით დასტურდება, რომელსაც დანართად ახლავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულით გათვალისწინებული ინვენტარი/აღჭურვილობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ინტერვიუირების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.2.1.1. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია.***

2. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია" განხორციელებისთვის, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრული ჰყავს მინიმუმ ორი პირი. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სულ 31 (ოცდათერთმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი (აქედან - 7 (შვიდი) ზოგადი მოდულების, 1 (ერთი) ქართული ენა A2/B1 და 23 (ოცდასამი) პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი). სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარეხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. წინარე ხელშეკრულებებს ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია დასტურდება მათი პირად საქმეში არსებული სამუშაო გამოცდილების ცნობებითა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომელთა კომპეტენცია აღნიშნული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის დასტურდება ინტერვიუირების შედეგებითაც. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.2.1.2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - დაკმაყოფილებულია.***

3. დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის №2 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 7 მაისის №83 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „სტრუქტურული ერთეულის დებულება", რომელიც განსაზღვრავს როგორც ადმინისტრაციული, ასევე საგანმანათლებლო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნული დოკუმენტით ასევე დადგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გააჩნიათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენცია.

პროგრამის განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის დარგში მიმდინარე სიახლეებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია და/ან დარგობრივი სამუშაო გამოცდილება, რომელიც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ მათ უმრავლესობას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება როგორც პროფესიული სწავლების, ასევე შესაბამისი დარგობრივი საქმიანობის მიმართულებით. ასევე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ შორის, პროგრამის შინაარსის განსაზღვრისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შესაბამისი C გარემოს მოწყობის საკითხებში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობა შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - დაკმაყოფილებულია.***

4. დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის №2 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 7 მაისის №83 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „სტრუქტურული ერთეულის დებულება“. აღნიშნული დოკუმენტის 10.157 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება შესაბამის სფეროში და დარგობრივი პროფილით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, რომლის მიხედვითაც დადასტურდა, რომ პირის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ მას აქვს მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამისი დარგის მიმართულებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ შემუშავების პროცესში, მათ შორის, მოდულების ადაპტირების, სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობით დაგეგმვისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს განსაზღვრის საკითხებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, დარგობრივი გამოცდილება და პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ადმინისტრირებასა და განხორციელებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატარი 2.2.1.4. - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;***

5. დაწესებულების “ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის” შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, სახელმძღვანელოები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სასწავლო პროცესში უპირატესად ელექტრონული რესურსები გამოიყენება, თუმცა მასალების მაქსიმალური ხელმისაწვდომობისთვის, ბიბლიოთეკის ფონდი ასევე შევსებულია ძირითადი სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიებით, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბმისად.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სადაც განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი - 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-19 თავი – „ინკლუზიური განათლება“ – არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სასწავლო პროცესსა და საგანმანათლებლო გარემოში ჩართულობისა და ადაპტირების მექანიზმებს.

დებულების თანახმად, ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელებისას კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს, სასწავლო პროცესის, სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდების, შეფასებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აანალიზებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ არსებულ ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ინკლუზიური პროფესიული განათლების ჯგუფი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიღებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ჯგუფი უზრუნველყოფს საჭიროების შეფასებას, ფიზიკური გარემოს ადაპტირების, ტრანსპორტირების, ჟესტური ენის თარჯიმნის, მობილობის სპეციალისტის ან სხვა მხარდამჭერი სერვისების ორგანიზებას, ასევე სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომი ფორმატით (მაგ., აუდიომასალა, ბრაილის შრიფტით მომზადებული მასალა, თვალსაჩინოებები და სხვა) უზრუნველყოფას.

დებულებით განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს ერთი, რამდენიმე ან ყველა მოდულის ფარგლებში, იმის მიხედვით, თუ რომელ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით იკვეთება მნიშვნელოვანი სირთულეები.

კოლეჯი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პერიოდულ გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში მის ცვლილებას/ადაპტაციას ახორციელებს პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. დებულებით განსაზღვრული ადაპტაციის ფორმებია სასწავლო გეგმის აკომოდაცია, მოდიფიკაცია, ასევე ფუნქციური და ალტერნატიული სასწავლო მიზნების დამატება.

ინკლუზიური პროფესიული განათლების ჯგუფის ფუნქციებში შედის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მათ შორის შენობაში გადაადგილების, სანიტარული კვანძებით სარგებლობის, უსინათლო პროფესიული სტუდენტების ორიენტაციის, სმენის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ჟესტური ენის თარგმანის უზრუნველყოფის, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფისა და ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით.

დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტები პროგრამის ფარგლებში, ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილნი არიან მოდულებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაიშვან წინაპირობის დაძლევის გარეშე, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭებათ მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.

კოლეჯი, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, პროფესიული განათლების ინდივიდუალური ტემპით მიღებას, სწავლის შედეგების მიღწევას, შემდგომ დასაქმებას, საზოგადოებაში ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. უზრუნველყოფილია შენობაში პანდუსის საშუალებით შესვლის შესაძლებლობა, ხელმისაწვდომია ძირითადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები და სხვა აუცილებელი სერვისები. აღნიშნული გარემოებები ქმნის წინაპირობას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ სასწავლო გარემოზე თანაბარი წვდომა და შეძლონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სრულფასოვანი მონაწილეობა.

- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,***ინდიკატორი 2.2.1.6. - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.***

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ ანალიზს. დოკუმენტის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ბიუჯეტი დაგეგმილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა (30 პროფესიული სტუდენტი) და ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით, რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15-ით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თვითღირებულების დაფარვას და რენტაბელობას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.7 - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. 2022 წლის 11 იანვრის N2 გრძანებით(ბოლო ცვლილება 07/05/2025 გრძანება N83) დამტკიცებული აქვს "სტრუქტურული ერთეულის დებულება"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის "პანაცეა" დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N228 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N215 10.09.2025წ) დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება",
3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ
5. პროფესიული განათლების მასწავლებელთაპირადი საქმეები;
6. პროგრამის ხელმძღვანელი პირადი საქმე;
7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის "პანაცეა" ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
9. კოლეჯის ბიუჯეტი;
10. ვიზუალური დათვალიერების შედგები;
11. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-6 თავი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმებს.

დებულების თანახმად, პროგრამის შეფასება ეფუძნება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს, კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ ანგარიშებს, შიდა ვერიფიკაციის შედეგებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მიღებულ სხვა რელევანტურ ინფორმაციას.

პროგრამების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე სხვა ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპის – „დაგეგმვა – განხორციელება – შეფასება – გადახედვა/გაუმჯობესება (PDCA)“ – საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, განვითარების და გაუმჯობესების პროცესში.

პროგრამების შეფასების პროცესში კოლეჯი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოსაზრებებს, ასევე შესაბამის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ინფორმაციის სისტემური შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, დაწესებულება შეიმუშავებს და პერიოდულად აახლებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ინსტრუმენტებს.

დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამების შეფასების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი ინფორმაციის წყაროები და მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამების განვითარების, გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1 - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-6 თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმებს. დებულების თანახმად, პროფესიული პროგრამის შეფასების პროცესი განსაზღვრავს პროგრამის ხარისხის შეფასების წესს, გამოყენებულ მექანიზმებსა და შეფასების შესაძლო შედეგებს.

პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროფესიული პროგრამის შესაბამისობას აფასებს დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შეფასების პროცესში, მათ შორის, განიხილება:

- სასწავლო ლიტერატურის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან, მისი აქტუალურობა და ხელმისაწვდომობა;
- სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან და პროფესიული სტუდენტების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო-ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოებების შესაბამისობა სწავლების მეთოდებთან;
- პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისობა დასახულ მიზნებთან;
- პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების მიმართულებით;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები;
- პროფესიული სტუდენტების სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებლები.

დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეფასების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი კრიტერიუმებიც, რომლებიც გამომდინარეობს პროგრამის სპეციფიკიდან ან დაინტერესებული მხარეების საჭიროებებიდან.

პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასება. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და მოიცავს მხოლოდ იმ სწავლის შედეგებს, რომლებიც შეფასების მომენტისთვის უკვე მიღწეული უნდა იყოს. აღნიშნული შეფასების შედეგები უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების ინიცირების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მიღებული მონაცემების ანალიზს და ამზადებს შესაბამის დასკვნას. შეფასების პროცესში გამოვლენილი პრობლემების, სისუსტეების ან ხარვეზების შემთხვევაში სამსახური განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლებთან მიმართებით პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებას, და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
პროგრამის შეფასების დასკვნა და რეკომენდაციები წარედგინება ადმინისტრაციულ საბჭოს. საჭიროების შემთხვევაში, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება კონკრეტული ღონისძიებები და სამოქმედო აქტივობები, რომელთა განხორციელებაში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონაწილეობენ კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.3.1.2. - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N228 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N215 10.09.2025წ) დამტკიცებული აქვს "პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება";
2. გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 09 ივნისის №102 ბრძანებით დამტკიცებული ორი სასწავლო გეგმა, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმა შედეგნილია ლოგიკური თანმიმდევრობით და პორფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება ორმოც საათს(საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - დაკმაყოფილებულია.***

2დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის II თავი – „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება“ – არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას.

დებულების თანახმად, სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხელმძღვანელობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვასა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვირეული დატვირთვის გათვალისწინებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ კოლეჯი იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რათა პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სრულფასოვნად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და არ ჩამორჩეს პროგრამის განხორციელებას. ამ მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნასა და განათლების მიღების შესაძლებლობას როგორც საკონტაქტო, ისე ელექტრონული ფორმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის იყენებს ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო- და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი პერიოდულად ესწრება სასწავლო პროცესს და ახორციელებს მოდულების მიმდინარეობის მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი შეფასების მექანიზმების შესაბამისად.

დებულებით განსაზღვრულია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, სასწავლო ცხრილი, შესაძლებლობის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებით განისაზღვრება, მათ შორის სწავლების პერიოდისა და დროის გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური გარემოებების (მათ შორის, ფორს-მაჟორული სიტუაციების) გამო ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის თავდაპირველი ფორმით განხორციელება, კოლეჯი ახორციელებს სასწავლო პროცესის შესაბამის ადაპტაციას ისე, რომ დაცული იყოს პროფესიული სტუდენტების ინტერესები, უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა და, შესაძლებლობის ფარგლებში, არ გახანგრძლივდეს სწავლების ვადა. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ასევე უზრუნველყოფს დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების ჩატარებას.

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების ისეთი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერაზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებში მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და განხორციელების თავისებურებების, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების, სწავლის შედეგების შეფასებისა და განმეორებითი დადასტურების წესის, მიღებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

წარმოდგენილი რეგულაციები და სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები ქმნის საფუძველს პროფესიული სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად და პროგრამის თანმიმდევრული, ეფექტიანი და ხარისხიანი განხორციელებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.1.2 - პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით: ინტერაქტიული ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, პრეზენტაციები, რომლებიც ხორციელდება ციფრული და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსთან პროფესიული სტუდენტების წვდომა, დარეგულირებულია პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ***ინდიკატორი 2.4.1.3. - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - დაკმაყოფილებულია.***

4. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის მე-19 მუხლი – „ინკლუზიური განათლება“ – არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართულობისა და საგანმანათლებლო გარემოსთან ადაპტირების მექანიზმებს.

დებულების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (მათ შორის, გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევების მქონე პირების) სწავლებისა და სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი მხარდამჭერი ჯგუფის შექმნას. აღნიშნული ჯგუფი იქმნება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და პასუხისმგებელია სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

დებულებით განსაზღვრულია ადაპტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც მოიცავს:

- კოლეჯის შენობაში შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობას პანდუსის საშუალებით;
- შშმ პროფესიული სტუდენტის კოლეჯის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების მხარდაჭერას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ;
- პროფესიული სტუდენტის კომუნიკაციისა და კონსულტაციის ხელშეწყობას კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან;
- საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელშეწყობას, მათ შორის სასურველი ლიტერატურის პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომ სივრცეში მიწოდებას.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და სწავლისა და შეფასების პროცესში საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს, კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის ადაპტაციას პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს:

- მოდიფიკაციას – მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას;
- აკომოდაციას – სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების განსაზღვრას, რაც აუცილებელია პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მისაღწევად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო დასკვნითი შეფასება და კრედიტების მინიჭება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და შესაბამისი მოდულის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დებულების მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე შემდეგ შემთხვევებში:

1. პროფესიულ სტუდენტს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო დროებით ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმი;
2. პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობის უფლებით;
3. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი აღდგენის შემდეგ აგრძელებს სწავლას;
4. ფორმალური განათლების აღიარების/დადასტურების პროცესის შედეგად საჭიროა სასწავლო პროცესის ინდივიდუალური დაგეგმვა;
5. სხვა შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის საჭიროება მოითხოვს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ ორგანიზებას.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების თანაბარ შესაძლებლობებს, სასწავლო პროცესში მათ სრულფასოვან ჩართულობასა და პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.1.4. - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - დაკმაყოფილებულია.***

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ არჩევითი მოდულის „ესთეტიკური მასაჟი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან – შპს „აურა პლიუსი“.

ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მოთხოვნების შესაბამისად.

ხელშეკრულების დანართად წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც ადასტურებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის არსებობას.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სრული პერიოდის განმავლობაში შპს „აურა პლიუსი“ უზრუნველყოფს წელიწადში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას წინასწარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია 10 პროფესიული სტუდენტის მიღება, რომელთა პრაქტიკული სწავლების პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს ორი ინსტრუქტორი.

სასწავლო გეგმით განსაზღვრული კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, პრაქტიკის ობიექტს აქვს შესაძლებლობა, ერთი მიღების ფარგლებში უზრუნველყოს 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტის გავლა.

აღნიშნული გარემოებები, ასევე პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები, დამატებით დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად. ინტერვიუირებისას დადასტურდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების, სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებისა და პრაქტიკის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებული მზადყოფნა.- ***ინდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - დაკმაყოფილებულია.***

6. დაწესებულებას დირექტორის 2026 წლის 9 ივნისის №105 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სასწავლო გარემოში უსაფრთხო სწავლებისა და მუშაობის ინსტრუქცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მასაჟის თერაპია“, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში უსაფრთხოების, ჰიგიენისა და სამუშაო გარემოს ორგანიზების ძირითად მოთხოვნებს.

ინსტრუქციის თანახმად, სასწავლო/სამუშაო სივრცე მუდმივად უნდა იყოს სუფთა, მოწესრიგებული და უსაფრთხო. სასწავლო ინვენტარი, მასალები და აღჭურვილობა უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და გამოყენებისთვის ვარგისი. პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე აუცილებელია შესაბამისი რესურსების ვიზუალური შემოწმება, ხოლო ნებისმიერი გაუმართაობის, დაზიანების ან გაურკვევლობის აღმოჩენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პროფესიულ მასწავლებელს შემდგომი რეაგირების მიზნით.

ინსტრუქციით განსაზღვრულია ელექტრო და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვის, ასევე ჰიგიენური ნორმების შესრულების აუცილებლობა. პრაქტიკული მეცადინეობები უნდა განხორციელდეს სუფთა და დეზინფიცირებულ გარემოში, პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. მასაჟის პრაქტიკული პროცედურების განხორციელებისას გათვალისწინებულია ერთჯერადი მასალების გამოყენება, მათ შორის ქაღალდის ხელსახოცებისა და სამასაჟე მაგიდის გადასაფარებლის გამოყენება, ასევე მასაჟის ზეთებისა და ლოსიონების დაბინძურებისგან დაცვის აუცილებლობა.

ინსტრუქციის შესაბამისად, ყოველი პრაქტიკული მეცადინეობის დასრულების შემდეგ სავალდებულოა სამუშაო სივრცის დასუფთავება და მოწესრიგება, ხოლო თითოეული პროცედურის შემდეგ – სამასაჟე მაგიდისა და დამხმარე ინვენტარის შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება. დაუშვებელია დაზიანებული, ვადაგასული ან გაურკვეველი წარმოშობის მასალებისა და ნედლეულის გამოყენება.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ მასწავლებელს ან პროფესიულ სტუდენტს აღენიშნება კანის ინფექცია ან ხელზე არსებული ღია ჭრილობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მას ეკრძალება პრაქტიკულ მეცადინეობაში მონაწილეობა და ვალდებულია მიმართოს კოლეჯის ექიმს/ექთანს შესაბამისი რეკომენდაციის მისაღებად.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო და პრაქტიკული პროცესის მიმდინარეობისას დაიცვას ინსტრუქციით განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნები და გაითვალისწინოს პროფესიული მასწავლებლის მითითებები.

გარდა აღნიშნულისა, კოლეჯის ყველა სივრცეში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა როგორც პერსონალის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასწავლო კორპუსში ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს უსაფრთხოების ზოგადი წესები და პროცედურები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება არ მოითხოვს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დამატებით გამოყენებას, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების დაცვას სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე - ***ინდიკატორი - 2.4.1.6. - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N228 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N215 10.09.2025წ) დამტკიცებული აქვს "პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება;

2. დაწესებბულებას დირექტორის 2026 წლის 09 ივნისის N 105 ბრძანებით დამტკიცებული აქვს:სასწავლო გარემოში უსაფრთხო სწავლებისა და მუშაობის ინსტრუქცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მასაჟის თერაპია";

3. პროფესიული საგანამათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამტკიცების აქტი;

4. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;

5. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

6. გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის IV თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების წესსა და პროცედურებს.
დებულების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას მოდულით/პროგრამით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისი მოდულის/პროგრამის კრედიტის მისაღებად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს მოდულით/პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის მიღწევა.
დაწესებულებაში შესაძლებელია სწავლის შედეგების დადასტურება როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის, მთლიანი მოდულის ან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული შედეგების ერთობლივად. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.
პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასებისთვის გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს სწავლის პროცესის შეფასებას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის მონიტორინგი და მისთვის უკუკავშირის მიწოდება. აღნიშნული შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს და ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმავითარებელი შეფასების შედეგი ატარებს მხოლოდ განმავითარებელ ხასიათს და არ აისახება პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასება ეფუძნება ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას და ითვალისწინებს ორ შესაძლო შედეგს:ა. სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასების განხორციელებისთვის გამოიყენება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც დასტურდება შეფასების მტკიცებულებებითა და შეფასების უწყისებით. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულში განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას და არ უნდა მოიცავდეს იმ საკითხებს, რომლებიც პროფესიულ სტუდენტს მოდულის ფარგლებში არ აქვს გავლილი.

დებულების თანახმად, მოდულის განხორციელების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგენს შესაბამისი მოდულის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს. წარმოდგენილი ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ შესაბამისობას ამოწმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხოლო ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელისა და, საჭიროების შემთხვევაში, დარგის სხვა სპეციალისტის ჩართულობით, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით.

ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია დადგენილ ვადაში წარადგინოს შესწორებული ვერსია. ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის შეფასების ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია მათი განმეორებით გამოყენება შესაბამისი მოდულის ფარგლებში.

მოდულის განხორციელების დაწყებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შეფასების პროცესს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების დაწყებამდე აწვდის ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალებებისა და მათი შესრულების პირობების შესახებ.

დებულებით განსაზღვრულია განმსაზღვრელი შეფასების განმეორებით გავლისა და შედეგების დადასტურების პროცედურებიც. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გამოცხადდა შეფასებაზე ან ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი, უფლება აქვს დადგენილი წესით გაიაროს განმეორებითი შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი სწავლის შედეგი წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მისი დადასტურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე.

შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია მიეწოდება ინდივიდუალურად. ზეპირი, პრაქტიკული დავალებისა და პროცესზე დაკვირვების შემთხვევაში შედეგი ეცნობება იმავე დღეს, წერითი შეფასების შემთხვევაში – მომდევნო სამუშაო დღეს, ხოლო ელექტრონული შეფასებისას – ტესტის დასრულებისთანავე. პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება აქვს აპელაციის პროცედურის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ ფარგლებში გათვალისწინებულია შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა. შუალედური შეფასება წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ფორმას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის შეფასება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ინფორმაციის მიღება. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სავალდებულოა და წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების, პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში მათი კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესები დაწესებულებაში ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად და გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებშიც. საკითხის დამატებითი გადამოწმების მიზნით, ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს დაწესებულების მხრიდან შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

ინტერვიუირების შედეგები მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ სწავლებისა და შეფასების მიმართულებით საჭირო კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების პროცესის განხორციელებას დაწესებულების შიდა რეგულაციებისა და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. - ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.1. -პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 4 თებერვლის №60 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის №221 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „შიდა ვერიფიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეფასების პროცესის, შეფასების ინსტრუმენტებისა და შექმნილი მტკიცებულებების შიდა ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურებს.

შიდა ვერიფიკაციის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება, მათ შორის, პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დებულების შესაბამისად, შიდა ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს შერჩევითი პრინციპით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს შესაძლო რისკებს, მათ შორის:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს;
- აპელაციის ხშირ შემთხვევებს;
- ერთი შეფასების ინსტრუმენტით რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასებას;
- მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების უმრავლესობის დაუდასტურებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სხვა შესაბამის გარემოებებს.

შიდა ვერიფიკაციას ექვემდებარება დასრულებული მოდულების განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების პროცესი და შესაბამისი მტკიცებულებები. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში შესამოწმებელი მოდულების რაოდენობის შერჩევა ხორციელდება დადგენილი სქემის შესაბამისად: 10 მოდულზე ნაკლები მოდულის არსებობის შემთხვევაში მოწმდება ყველა მოდული; 10-დან 20 მოდულის ჩათვლით – მოდულების 50%; ხოლო 21 და მეტი მოდულის არსებობის შემთხვევაში – მოდულების 30%.

ვერიფიკაციის მოცულობა ასევე დამოკიდებულია პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე. კერძოდ, 5-მდე პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მოწმდება ყველა სტუდენტის შეფასების პროცესი, 20-მდე პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში – არანაკლებ 50%, ხოლო 21 და მეტი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში – არანაკლებ 30%.

შიდა ვერიფიკაციის პროცესში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში. საჭიროების შემთხვევაში, ვერიფიკაციის პროცესში შესაძლებელია ჩაერთონ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც მოხსენებითი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციულ საბჭოს და წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობასა და პროცესის განხორციელების გეგმას. ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა და განისაზღვრება მისი ფუნქციები.

ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უგზავნის მოთხოვნას დასრულებული მოდულების შესახებ, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტების განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტებს, შეფასების მტკიცებულებებსა და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას.

ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების პროცესს ახორციელებს სამი ძირითადი მიმართულებით:

1. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
2. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
3. შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერენ პროცესში მონაწილე ვერიფიკატორები. დასკვნა უნდა იყოს სრულყოფილი, მკაფიო და მოიცავდეს გამოვლენილი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას. დასკვნას თან ერთვის ვერიფიკაციის პროცესში გამოყენებული დოკუმენტები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩექლისტი, მტკიცებულებების შემოწმების ჩექლისტი და ვერიფიკატორის ანგარიშის ფორმა.

ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამზადებს შესაბამის ანგარიშს და წარუდგენს ადმინისტრაციულ საბჭოს. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ინფორმირებას გამოვლენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პრაქტიკის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ინტერვიუირების შედეგებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში შიდა ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად და გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" განხორციელება ჯერ არ არის დაწყებული. პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, დაწესებულების მიერ მათთვის წინასწარ არის ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ვერიფიკაციის პროცესის მიზნების, ეტაპებისა და განხორციელების პროცედურების შესახებ.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ დაწესებულებაში შექმნილია შიდა ვერიფიკაციის განხორციელების შესაბამისი მექანიზმები, ხოლო პროგრამის განხორციელების პროცესში შესაძლებელია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ხარისხის კონტროლი დაწესებულების შიდა რეგულაციებისა და დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.***

3. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება", რომლის 34-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის პროცედურებს.

დებულების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ შექმნილი შეფასების მტკიცებულებები დაცულად ინახება კოლეჯში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში. განმსაზღვრელი შეფასების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შენახვა ხორციელდება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

ამასთან, სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი განმსაზღვრელი შეფასების უწყისები ინახება მუდმივად, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის შენარჩუნებასა და საჭიროების შემთხვევაში მის ხელმისაწვდომობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულებას დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №228 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის №215 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლის IV თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების წესსა და პროცედურებს.

დებულების თანახმად, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ, ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას. იგი წარმოადგენს სწავლის პროცესის შეფასებას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განვითარების დინამიკის მონიტორინგი და მისთვის დროული, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება.

დებულების შესაბამისად, განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის, მათ შორის საკონტაქტო საათის აქტივობების, განუყოფელი ნაწილია და მისი გამოყენების ფორმასა და პერიოდულობას პროფესიული განათლების მასწავლებელი განსაზღვრავს. განმავითარებელი შეფასების შედეგი ატარებს მხოლოდ განმავითარებელ ხასიათს და არ აისახება პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასებაზე. ამასთან, შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც დიფერენცირებული, ისე არადიფერენცირებული შეფასების მიდგომები.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში განმავითარებელ ფუნქციას ასრულებს ასევე შუალედური შეფასება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის სწავლის პროგრესის შეფასება, განვითარების დინამიკის განსაზღვრა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

დაწესებულება პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების ანალიზს იყენებს მათი ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირების, შემდგომი განვითარების ხელშეწყობის, კონსულტაციების დაგეგმვისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სასწავლო აქტივობების/მეცადინეობების ორგანიზებისთვის. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N228 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:დირექტორის ბრძანება N215 10.09.2025წ) დამტკიცებული აქვს "პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება;

2. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 4 თებერვლის №60 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის №221 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „შიდა ვერიფიკაციის წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. განცხადება

დანრთი 3. ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

თარიღი: 31/07/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: